დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 30 სექტემბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18.11.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 24

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 29

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გოგნაძე - შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მედიცინა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Medicine
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-7 დონე (ერთსაფეხურიანი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 - მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 2021 წლის 20 აგვისტო, № 807935
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგისთვის წარმოდგენილი განსახილველი პროგრამაა დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2021 წლის 20 აგვისტოს (გადაწყვეტილება № 807935) და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგის განხორციელების პირობით. პროგრამა 6 წლიანია, რომელიც მოიცავს 12 სემესტრს, 360 კრედიტს. იგი ნაწილობრივ ინტეგრირებულია (ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად) და სტრუქტურირებულია სამ ეტაპად - საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური. იმისათვის რომ სტუდენტებს პროგრამის დასაწყისიდანვე განუვითაროს კლინიკური აზროვნებისა და საბაზისო კლინიკური უნარები, პროგრამა იყენებს PBL, CBL შერეულ მეთოდოლოგიას, შეფასებები ასევე შერეულია ტრადიციული ესეებისა და OSCE/OSPE გამოცდებით, პირველ ორ ეტაპზე. კლინიკურ ეტაპზე შეფასება ხდება აქტივობების 360 გრადუსით დაკვირვებით, რაც ხდება კლინიკაში განთავსებით, მთელი რიგი კლინიკების ფარგლებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება განხილვა და კონკრეტული სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა 2022 წლის 30 სექტემბერს ადგილზე ვიზიტით.

გასაუბრებები ჩატარდა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ლაბორატორიები, სიმულაციური ცენტრი (OSCE-ის ოთახები) და აფილირებული კლინიკა. ნანახი იქნა აგრეთვე სტუდენტური პორტალი.

ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა მულტიპროფილურ კლინიკაში ბათუმის რეფერალულ საავადმყოფოში, სადაც შეფასდა სტუდენტების სასწავლო პრაქტიკული გარემო.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელთა დამატებაც საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების სახით, აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა მოხდა მყისიერად.

დასკვნების თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფაკულტეტის ხელმძღვანელობას მიეცა შემაჯამებელი უკუკავშირი.

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან, გარდა პირველი სტანდარტის, რომელიც „მეტწილად“ შესაბამისად შეფასდა. აღნიშნული გარემოება გამოწვია აკრედიტაციის საბჭოს ზოგიერთი რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულებამ და ასევე, ახალმა გარემოებებმა, რომელიც გამოვლინდა პროგრამის მონიტორინგის შეფასებისას. ექსპერტთა გუნდის მიერ გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.

- <u>**რეკომენდაციები**</u>

  1. რეკომენდირებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაში ასახული საკონტაქტო და დამოუკიდებელი ჯამური საათების რაოდენობები, რაც უნდა იყოს სამედიცინო პროგრამებისთვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი. (https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0036&fbclid=IwAR2YTmADzZXKpDCleh0apiQDqIsroGxI4)KksKwMk09aPlAGTC1mVRIVmYqo
  2. რეკომენდებულია სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა
  3. რეკომენდებულია გადაიხედოს და გასწორდეს საათობრივი (საკონტაქტო/დამოუკიდებელი) გადანაწილება სილაბუსებში.

4. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  1. სასურველია პროგრამას არჩევით სასწავლო კურსად დაემატოს სხვა უცხო ენები;
  2. სასურველია, საუნივერსიტეტო გამოცდების მეშვეობით, განისაზღვროს იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის საგნების;

5. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

6. ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

7. ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

,პროგრამის მიზანია „სტუდენტს მიაწოდოს და გამოუმუშაოს როგორც საბაზისო, ისე პრეკლინიკურ და კლინიკურ დისციპლინებში ღრმა და საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, გააჩნდეს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის და კვლევის დიზაინის ცოდნა, გამოუმუშავდეს სამუშაოს დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი. სწავლების პრაქტიკის ეტაპზე კი სრულყოს და დახელოვნდეს კლინიკური უნარ-ჩვევებში“.
პროგრამის მიზანი თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა მიმართული პროგრამა და ძირითადად ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) საბაზისო სამედიცინო განათლების სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია
- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და გამახვილდეს ყურადღება სტუდენტის პროფესიონალიზმის, როგორც კომპეტენციის გამომუშავებაზე“

ინსტიტუციის მხრიდან მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის მიზნით: უფრო დაკონკრეტდა პროგრამის მე-11 შედეგი, პროფესიონალიზმის კომპეტენციის გამომუშავების მიზნით; კერძოდ - „კურსდამთავრებულის დარგობრივი კომპეტენციები ემყარება პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტების გამოვლინებას, რაც არა მარტო დარგის შიგნით, - მოვლენების ნორმისა და პათოლოგიის შეფასებაში, დაავადებების ეთიოლოგის და პათოგენეზის, დიაგნოსტიკისა და მართვის მენეჯნეტის ღრმა და საფუძვლიან ცოდნაში, აუცილებელი და საკმარისი მანიპულაციების (ინექციების, ოყნების, კათეტერიზაციების, სხვადასხვა ტიპის ნაკერების, ნახვევების, მინი ოპერაციების, სკოპიების) უმაღლესი სტანდარტის დაცვით შესრულებაში, რადიოლოგიური, ლაბორატორიული და მონიტორული დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის სრულყოფილ ინტერპრეტაციაში ასევე არასამედიცინო, მათ შორის მულტიკულტურულ, ინტერნაციონალურ გარემოში, როგორც საზოგადოების მიუკერძოებელი, კრეატიული, პატიოსანი, ეთიკური, ალტრუისტი, თვითკრიტიკული, დამოუკიდებელი, ემპათიური, პაციენტისადმი, კოლეგებისადმი და მომავალი თაობისადმი კეთილგანწყობილი, პუნქტუალური პირის ქცევაში გამოიხატება.“

აღნიშნული ცვლილება იწვევს სტუდენტის პროფესიონალიზმის გამომუშავების ამაღლებას, რაც გულისხმობს მისი როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების განმტკიცებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 20.08.2021
- ინტერვიუები დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელობასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექპერტთა გუნდის მიერ შეფასდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: "პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის მონიტორინგის პროცესები გახდეს მკაფიო";

ინსტიტუციამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის მიზნით დახვეწა და გაწერა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სწავლის ნიშნულების ანალიზი შედეგების მონიტორინგის საშუალებას იძლევა. კერძოდ, დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ უნდა შეფასდეს აღნიშნული შედეგები. ამისათვის გამოყენებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომბინირება. სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ მიღწევების დასადგენად და შესაფასებლად სამიზნე ნიშნულებად გამოყენებულია გაუსის განაწილება. მარეგულირებელი დოკუმნეტის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში თითოეულ პროგრამაზე უნდა გაიწეროს რომელი დავალებებით/კომპონენტებით ხდება სწავლის შედეგების შეფასება, ვის მიერ, როდის და რამდენი სტუდენტის შერჩევით.

პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი ხდება 3 წლიანი დინამიკის ანალიზის საფუძველზე. ზემოაღნიშნული პერიოდებისთვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, მოხდება მონიტორინგის შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა: სწავლის შედეგის მიღწევის პროგრესის/რეგრესის შედეგების მიხედვით შემდგომი რეაგირების მიზნით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი";

უსდ-ს მიერ გადაიხედა პროგრამის სწავლის შედეგები და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები, რაც უფრო გაზომვადს ხდის სწავლის შედეგებს. შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სამიზნე ნიშნული:

I. საბაზისო ფაზა (SBA) – ერთი საუკეთესო პასუხი - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ კი სტუდენტთა 70% გამოცდაზე მიიღებს მოდულში შემავალ ყველა დისციპლინაში შესაძლო მაქსიმალური ქულიდან არანაკლებ 65% დადებით შეფასებას.
II. პრეკლინიკური ფაზა - (OSPE - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა). შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ კი სტუდენტთა 70% გამოცდაზე მიიღებს არანაკლებ 21 ქულისა 40 ქულიდან.
III. კლინიკური ფაზა - (OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა). შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ კი სტუდენტთა 70% გამოცდაზე მიიღებს არანაკლებ 21 ქულისა 40 ქულიდან.
IV. სამეცნიერო ნაშრომი - საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვით შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ სტუდენტთა 70% შემთხვევაში შეფასება იქნება 15 ქულაზე მეტი.
V. პროფესიული პრაქტიკის ფაზა - პრაქტიკის ციკლი - მიღწეულად ჩაითვლება თუ კი სტუდენტთა 70% მას დაასრულებს 360-იან შეფასებას მინიმუმ 25 ქულით 40-დან და ესე/კლინიკური შემთხვევა - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ კი სტუდენტთა 70% მიიღებს არანაკლებ 15 ქულისა 20 ქულიდან.

VI. ინტეგრირებული პროგრამის პროგრესის შეფასება - სწავლის გაგრძელების და დასაქმების მაჩვენებელი პირველი 3 წლის განმავლობაში 50 %-ზე მაღალია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამიზნე ნიშნულები
- კითხვარები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მე - 2 საფეხურს, საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპული კრედიტების გაანგარიშების სისტემას. პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი, მოცულობაა 360 კრედიტი და შედგება 12 სემესტრისგან. ერთი კრედიტი უდრის 25 საათს. პროგრამაში საათების საერთო რაოდენობაა 9000 საათი; აქედან 5399 საათი არის საკონტაქტო საათი, ხოლო 3601 საათი ეთმობა დამოუკიდებელ მუშაობას. პროგრამაში გამოვლენილია ტექნიკური სახის უზუსტობა, კერძოდ, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მთლიან რაოდენობაში შედის არჩევითი ბლოკში შესული ყველა არჩევითი სასწავლო კურსის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები და რეალურად სტუდენტი ამ ბლოკიდან ირჩევს მხოლოდ ერთს. ეს ციფრები მოითხოვს კორექტირებას და შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების საერთო რაოდენობა უნდა ითვალისწინებდეს 12 სემესტრის განმავლობაში რეალურად სტუდენტის გასავლელი სასწავლო კურსების (360 კრედიტის) შესაბამის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებს.
პროგრამა შედგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების გათვალისწინებით;

პროგრამაში, სილაბუსებში და გეგმაში ასახული საათების განაწილება მოსაყვანია თანხვედრაში, რეკომენდირებულია შესაბამისობაში მოვიდეს ასახული საკონტაქტო და დამოუკიდებელი ჯამური საათების რაოდენობები, რომელიც უნდა იყოს სამედიცინო პროგრამებისთვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი ანუ არანაკლებ 5 500 საათი. (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0036&fbclid=IwAR2YTmADzZXKpDCleh0apiQDqIsroGxI4)KksKwMk09aPlAGTC1mVRIVmYqo

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი კურსები (მაგ. ტუბერკულოზი, მეტაბოლური და პლასტიკური ქირურგია და სხვა)“

უდს-ის მიერ გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რეკომენდაციები, სასწავლო გეგმას დაემატა ტუბერკულოზის ქირურგიული გართულებების და ფტიზიატრიის სასწავლო კურსები, არჩევითი-სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით. შესაბამისად რეკომენდაცია შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანანათებლო პროგრამა,

- სილაბუსები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაში ასახული საკონტაქტო და დამოუკიდებელი ჯამური საათების რაოდენობები, კერძოდ საათების რაოდენობა უნდა იყოს სამედიცინო პროგრამებისთვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0036&fbclid=IwAR2YTmADzZXKpDCleh0apiQDqIsroGxI4)KksKwMk09aPlAGTC1mVRIVmYqo, Section 2, Doctors of medicine, Article 24

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლ ო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო მოდულების (კურსების) წინაპირობები“

მონიტორინგის ვიზიტის დროს, უდს-ის წარმმადგენლებმა აღნიშნეს, რომ გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაცია და სასწავლო კურსებს განესაზღვრა წინაპირობები, კერძოდ: მოდული-მოძრაობა; მოდული კვება; მოდული სიცოცხლე; მოდული სისხლი; მოდული რეპროდუქცია; მოდული ჰომეოსტაზი; მოდული აღქმა; ტრავმატოლოგია ორთოპედია; პრაქტიკა შინაგან მედიცინაში, თუმცა აღნიშნული ცვლილებები მოდულების სასწავლო გეგმაში გაწერილია, მაგრამ მოსაყვანია შესაბამისობაში სილაბუსთან, რადგან რიგ მოდულებში სილაბუსში კვლავ არ წერია წინაპირობები (მაგ. მოდული სისხლი, მოდული რეპროდუქცია).

ინსტიტუციამ უნდა გააგრძელოს სამუშაო ამ მიმართულებით, მაგალითად მოდული „ზოგადი ქირურგიის“ წინაპირობად კვლავ რჩება „სამედიცინო ქიმია და ბიოქიმიის საფუძვლები“, მაშინ როცა ქირურგიის შესასწავლად აუცილებელია სტუდენტმა იცოდეს ნორმალური და კლინიკური ანატომიის საფუძვლები. ასევე დასაკორექტირებელია მოდულ „დაზიანება“ -ს წინაპირობა. რეკომენდაციას ნაწილობრივ შესრულებულია.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გამოვლინდა რამოდენიმე მოდული, რომლის წინაპირობაც საჭიროებს რევიზიას: კლინიკური უნარები 3 (სიმულაციური პროპედევტიკა), საბაზისო ქირურგია, ტრავმატოლოგია ორთოპედია (სადაც 2 ისედაც ერთმანეთის წინაპირობიანი სასწავლ კურსია), მოდული - გერიატრია (ქირურგიული თავისებურებები მოხუცებულთა ასაკში), არჩევითი სასწავლო კურსები.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, სიზუსტისა და თანამიმდევრულობის მიზნით, გადაიხედოს და სადაც საჭიროა შესწორდეს სილაბუსებში ასახული ინფორმაცია საათობრივი განაწილების შესახებ“

რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია და სილაბუსების უმეტესი ნაწილი დაკორექტირებულია, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათების გადანაწილების უზუსტობა რჩება გასასწორებელი, მაგ. „გადაუდებელი დახმარება ბავშვებისთვის“, „შესავალი მედიცინაში“, სადაც სილაბუსში მოცემული საკონტაქტო საათები არ ემთახვევა სასწავლო გეგმაში მოცემულ ციფრებს. ასევე საგამოცდო საათები კვლავ რჩება საკონტაქტო საათებში.

ინტერვიუების დროს კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ინგლისური ენა იყო სავალდებული სასწავლო კურსი ძველ პროგრამაში, ხოლო განახლებულ პროგრამაში ინგლისური ენა არის არჩევითი სასწავლო კურსი.

კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა ისიც დააფიქსირეს რომ სტუდენტებმა იციან ინგლისური ენა, თუმცა დარგის განვითარების მოთხოვნების საფუძველზე სასურველია პროგრამაში ინგლისურის გარდა კიდევ იყოს სხვა რომელიმე უცხო ენა შეთავაზებული არჩევით სასწავლო კურსად, მაგ. თურქული ან გერმანული.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია მოძველებული წიგნები ჩანაცვლდეს ახალი გამოცემებით. იმ შემთხვევაში, თუკი ქართულენოვანი ლიტერატურა არ არის გამოცემული, საჭიროა მომზადდეს ე.წ. „ჰენდაუთები“ როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით“

უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მომზადებულია ე.წ. „ჰენდაუთები“ - ზოგად ქირურგიაში, უროლოგიაში, ნეიროქირურგიაში, ბავშვთა ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, რომელიც პროქტის ფარგლებში გამოიცემა სახელმძღვანელოს სახით. პროექტის ფარგლებში უმაღლესი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა-კონკურსის გამარჯვებული არის ბსუ-ს სახელით წარდგენილი პროექტი - სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის ,,Sambiston Textbook of Surgery, the Biological Basis of modern surgical praqtice 21 th edition. ცვლილებები შევიდა სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურაში. აგრეთვე ვიზიტის დროს ადგილზე ბიბლიოთეკაში ნანახი იქნა ახლად შეძენილი ახალი გამოცემული ქართულენოვანი ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა,
- სილაბუსები,
- ინტერვიუები
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა
- რეკონედებულია გადაიხედოს და გასწორდეს საათობრივი (საკონტაქტო/ დამოუკიდებელი) გადანაწილება სილაბუსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამას არჩევით სასწავლო კურსად დაემატოს სხვა უცხო ენები

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სასურველია წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტების მიერ გაცემული რჩევის მიხედვით, განისაზღვროს იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის დონე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საუნივერსიტეტო გამოცდების მეშვეობით, განისაზღვროს იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის დონის განსაზღვრა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგად აღჭურვილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრები (დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, ქიმიის, იმუნოგენეტიკის, უჯრედული ბიოლოგიის, ფარმაკოგნოზიის ლაბორატორიები). სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები (მაგ. შესავალი პროფესიაში, კლინიკური უნარები 1-5), რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტისთვის ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ცოდნისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარზე და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სწავლებისა და შეფასების მეთოდები კლინიკური სწავლების დროს“

ინსტიტუციამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და სილაბუსებში, მაგ, „შესავალი პროფესიაში“ სადაც სასწავლო კურსის ერთ-ერთი მიზანია ექიმის, პაციენტის და ავადმყოფის პატრონის ურთიერთობის ეთიკური, დეონტოლოგიური და იურიდიული პრობლემები. მტკიცებითი

მედიცინის პრინციპები და მნიშვნელობა“. მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სწავლების და შეფასების რელევანტური მეთოდი. ასევე სასწავლო კურსი „კლინიკური უნარები 1“ შედეგები მოიცავს „სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენებას : კონფიდენციალობის დაცვა; · მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება; · ინფორმირებული თანხმობის მიღება. ხოლო სწავლების ფორმად გამოყენებულია: ჯგუფური მუშაობა, · დემონსტრირების მეთოდი · CBCR - კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული მსჯელობა · სიმულაციური სწავლება - პრაქტიკული სამუშაობა სამულაჟო ცენტრში · როლური და სიტუაციური თამაშები, რაც მიღწევადს ხდის სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწვლო გეგმა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „სილაბუსებში უნდა გადაისინჯოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები: შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უნდა შეფასდეს თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი“

ინსტიტუციის მხრიდან გადაიხედა სასწავლო კურსების „ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია“ და „ონკოლოგია, პალიატიური მოვლა“ სილაბუსები და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, კერძოდ დაემატა DOPS – პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება შეფასების მეთოდად.

რიგ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდად წერია საკონტროლო წერა, რომელიც პროგრამის აღწერით ნაწილში არ არის მოცემული (მაგ. კლინიკური უნარები). პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ „საკონტროლო წერა“ სრულად ამოღებულია როგორც შეფასების მეთოდი პროგრამიდან და რომ აღნიშნული ტექნიკური შეცდომაა. აგრეთვე „მეანობა-პერინატოლოგია“ სასწავლო კურსში ერთ ერთ შეფასების მეთოდად გამოყენებულია ესსე, რომელიც სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე არარელევანტურია.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „სტუდენტთა შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს“

ინსტიტუციის მიერ გადაიხედა სტუდენტთა შეფასების მეთოდები კურსის სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაკორექტირდა რიგი სასწავლო კურსებში (პრაქტიკა ქირურგიაში, პრაქტიკა შინაგან მედიცინაში, მოდული ენერგია, მოდული მოძრაობა, მოდული კვება, მოდული სიცოცხლე, მოდული ჰომეოსტაზი). დაემატა უნარების შესამოწმებელი მეთოდები (მაგ:DOPS, OSCE)

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „რეკომენდირებულია, დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები 360-გრადუსით შეფასების მეთოდში, განისაზღვროს მისი შესატყვისობა სწავლის შედეგებთან და გადამზადდეს ყველა მონაწილე შემფასებელი“

ინსტიტუციამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, დაიხვეწა შეფასების კრიტერიუმები იმ სასწავლო კურსებში, რომელშიც გათვალისწინებულია 360-გრადუსით შეფასების მეთოდი (პრაქტიკა ქირურგიაში, შინაგანი მედიცინა), კონკრეტულად ჩაიშალა თითეული მხარის შეფასების კრიტერიუმები. ასევე ტრენინგი ჩაუტარდა ყველა მონაწილე პერსონალს. ტრენინგი ჩაატარეს დარგის ექსპერტემბა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წარმომადგენლებმა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „კლინიკური უნარების შეფასების მიზნით რეკომენდებულია OSCE გამოცდების სრულყოფა თანამდროვე მოთხოვნების შესაბამისად და ჩატარდეს აკადემიური პერსონალის შესაბამისი ტრენინგი“

რეკომენდაციის თანახმად ფაკულტეტზე შეიქმნა „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის OSCE-ს“ კომიტეტი, რომელსაც დაევალა OSCE-ს გამოცდების სრულყოფაზე მუშაობა. შესაბამისად გადაამზადა გამოცდებში მოწვეული პერსონალი, შემუშავებული იქნა ახალი ქეისების, დაგეგმილია OSCE-ს საგამოცდო ცენტრის გაფართოვება, რისთვისაც უსდ-ს მიერ გამოცხადდა ტენდერი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები.
- ინტერვიუ განმახორციელებელ პერსონალთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- ტრენინგის მასალები
- ბრძანება 27-05/08 „ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდის OSCE-ს“ კომიტეტის შექმნაზე

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების ინტერვიურების დროს დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ ყველა ინფორმაცია ელექტრონული პორტალის საშუალებით, მათ შორის დასაქმების შესახებაც.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: „უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა“

რეკომენდაციის გათვალისწინებით და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტში ჩამოყალიბდა შესაბამისი ქვე-პროგრამა, რომლის საერთო ასიგნება არის 338 050 ლარი, აღნიშნულიდან სტუდენტთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერისთვის (სტუდენტთა ჩართვა გაცვლით პროგრამებში; სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება) გამოყოფილია 148 750 ლარი. სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა გააქტიურა მუშაობა საერთაშორისო პროგრამების მოძიების კუთხით. გაფორმდა ყაზახეთის მარატ ოსპანოვის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტთან ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის

შესახებ, რაც ითვალისწინებს როგორც სწავლების ისე კვლევით კომპონენტს. მომავალი სემესტრიდან იგეგმება გაცვლითი პროგრამები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- ვებ-გვერდი
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N05 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი და 7 ასისტენტ-პროფესორი, 45 მოწვეული ლექტორი, 26 სენიორ-ლექტორი.

უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული და დანერგილი აკადემიური პერსონალის არჩევის წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და დარგობრივ მახასიათებელთან. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლებლის დებულების, შიდა ნორმატიული აქტებისა და ამ წესის მოთხოვნათა შესაბამისად, ღია და საჯარო კონკურსის ჩატარების გზით. კონკურსისას დაცულია გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურა და პერსონალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას და მის წარმატებულად განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება
- პროგრამის განმახორციელებელი პეროსონალი (საქაღალდე 4)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააკეთა პედაგოგიური საქმიანობის შეფასება, რომელიც მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და სრულყოფის პროცესში ჩართულობას, სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობას, სასწავლო მასალების შემუშავებას, მუდმივი განახლებას და სრულყოფას, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადებას, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხის, სტუდენტთა შეფასებების (მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი) სტატისტიკური ანალიზს, სტუდენტთა ინტერვიუირების შედეგების ანალიზს.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდირებულია განხორციელდეს აკადემიური პერსონალის რეგულარული ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში (სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები)"

2022 წლის 15 ივნისის N07-01/32 გადაწყვეტილებით „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება"-ში შევიდა ცვლილებები. რომლის თანახმად ფაკულტეტზე შეიქმნა დამხმარე სტრუქტურულ ერთეული „სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი", რომლის ძირითადი ფუნქციებია:
ა) სამედიცინო განათლების პოპულარიზაცია, პირველადი ჯანდაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
ბ) მასობრივი პრევენციული და სარეაბილიტაციო ღონისძიებათა საჭიროების გამოვლენა/ხელშეწყობა/განხორციელება;
გ) დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ხელშეწყობა - სტუდენტთა პრაქტიკულ უნარჩვევებში დახელოვნების ხელშეწყობა;

ცენტრის ორგანიზებით სასწავლო პროცესში და OSCE-ის გამოცდებში, ასევე 360-გრადუსის მეთოდით შეფასების მონაწილე პერსონალს ჩაუტარდათ ტრენინგები. ასევე მათ მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში „სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ-სწავლების დროს".

20.04.2022 დამტკიცდა ბსუ-ს „პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი", სადაც დეტალურად არის გაწერილი პირობები. ასევე ბსუ-ს რექტორის 01.06.2022 ბრძანების თანახმად, პროგრამაში მონაწილე პერსონალი დაფინანსდა უცხოეთში გასამართ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის.

უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტრენინგების ამსახველი მასალა
- ვებ-გვერდი
- ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი
- 01.06.2022 ბრძანება 06-01/91 უხცოეტში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის კონკურსის შედეგები
- ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით. კლინიკური პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია მემორანდუმები. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას რექტორმა აღნიშნა, რომ დაწყებულია მუშაობა მედიცინის ფაკულტეტისთვის ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით და წარმოადგინა რენდერები. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება საუნივერსიტეტო კლინიკის სტატუსის მინიჭებაზე ერთ-ერთი აფილირებული კლინიკისთვის.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის „რეკომენდებულია, OSCE საგამოცდო ცენტრის შემდგომი განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს OSCE გამოცდების გაფართოება პროგრამის ფარგლებში დამატებითი ასპექტებისთვის“, საპასუხოდ უნივერსიტეტმა დამატებით დაგეგმა სიმულაციური ცენტრისთვის ფართის მიერთება, მოხდა ახალი სიმულატორების და მულაჟების შეძენაზე ტენდერის გამოცხადება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- ბიუჯეტი
- შესყიდვის დოკუმენტაცია
- ფაქტობრივი მდგომარეობა
- სამედიცინო მულაჟებთან დაკავშირებით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის განცხადება NAT220018965

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ყურადღება გაამახვილოს თანამედროვე შეფასების მეთოდების სრულყოფაზე და დანერგვაზე;
- რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რეკომენდაციები. კერძოდ, თანამედროვე შეფასების მეთოდების სრულყოფისა და დანერგვის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეწყობით ჩატარდა არაერთი ტრენინგი ამ მიმართულებით (OSCE, 360-გრადუსიანი შეფასება). ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტში პერსონალის ტრენინგებისთვის გამოყოფილია 100 000 ლარი.

პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად

დაიხვეწა მექანიზმები. ჩატარდა გამოკითხვები (პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების) და გაკეთდა შედეგების ანალიზი.

კითხვარი მოიცავდა საკითხებს, რომლებიც ითვალისწინებდა კითხვებს, ეთანხმებოდნენ თუ არა პროგრამის მიზნებს(85.71%), რამდენად შეესაბამებოდა სასწავლო კურსების სტრუქტურა პროგრამის მიზნებს (85.29%), შეფასების სისტემას (89.66%), სწავლების მეთოდებს (90.63%), რამდენად შეესაბამებოდა საბიბლიოთეკო რესურსი სასწავლო კურსის მიზნებს და სწავლის შედეგებს (48.39%), და ასევე, მათ მოსაზრებებს, თუ რა ცვლილებების შეტანას ისურვებდნენ სწავლების მეთოდებში, რის შეძენას/გაუმჯობესებას ისურვებდნენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით, რა ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ხედავდნენ პროგრამაში და პროგრამის ხელმძღვანელის შეფასებას (75.86%). შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, პროგრამის შეფასების შედეგები გამოყენებული იქნა პროგრამის გასაუმჯობესებლად.

არსებული რეკომენდაციებით განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ: სილაბუსში გათვალისწინებულ იქნა სწავლების თანამედროვე მეთოდები, მათ შორის PBL, CBL, TBL და OSCE; სამედიცინო სასწავლო ცენტრის განახლება მოხდა საჭირო მულაჟებით; სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო კურსებს დაემატა რიგი საკითხები (თემები); პროგრამას დაემატა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განმავითარებელი დამოუკიდებელი სასწავლო კურსები, როგორიცაა ,,სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა“, ,,სამეცნიერო კვლევა მედიცინაში, კვლევის დიზაინი“, ,,მტკიცებითი მედიცინა, GSP, კლინიკური კვლევები“; გაიზარდა ინტეგრირების ხარისხი .

რეკომენდაციები შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- ბიუჯეტი
- კითხვარები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტები \ შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ხათუნა საგანელიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა თინათინ გოგნაძე